

მმართველობის ანგარიშგება

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ხელმძღვანელობა წარმოადგენს თავის მმართველობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური წლისთვის.

ზოგადი ინფორმაცია

საქმიანობის მიზანი და ძირითადი მიმართულებები

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო.

თანხები მოცემულია ათასებში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული,

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. შესაბამისად, კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.

კომპანიამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე აჭარისწყალსა და მის შენაკადებზე, ჰიდროელექტროსადგურების კასკადი განავითარა. სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული „მშენებლობა, ფლობა, ოპერირება“ (BOO) ხელშეკრულების საფუძველზე. BOO ხელშეკრულებით კომპანიამ აიღო მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების ვალდებულება, შუახევში მინიმუმ 178 მეგავატი და სხალთაზე 9 მეგავატი დადგმული სიმძლავრით (ქვემოთ ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „პროექტი“). თავის მხრივ, საქართველოს მთავრობამ კომპანიას გადასცა ჰიდროელექტროსადგურებისთვის მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების გამოყენების ექსკლუზიური უფლება. განახლებულ BOO ხელშეკრულებაში ცვლილება გაფორმდა 2019 წლის 13 დეკემბერს, რითაც კომპანიამ უფლება მიიღო 15 წლის განმავლობაში გაყიდოს საქართველოში წარმოებული ელექტროენერგია გარანტირებული სრული მოხმარებით და ფიქსირებული ფასით. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებას შუახევისთვის შეცვლილი პირობებით მოეწერა ხელი 2020 წლის 12 მარტს და ამოქმედდა 2020 წლის 10 მარტს. სხალთასთვის ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2021 წლის მარტში და სადგური იღებს ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ამონაგებს.

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404401438)

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქ. 129, ბლოკი ბ., მე-3 სართ., N8 კომერციული ფართი.

ელფოსტა: info@agl.com.ge

ვებგვერდი: www.agl.com.ge

ფუნქციონირებადი საწარმო

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 9,909 ლარით აღემატებოდა. კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა მოგება 98,274 ლარის ოდენობით აღრიცხა (საიდანაც 97,665 ლარი უკავშირდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურების არაფულად შემცირებას) და საოპერაციო საქმიანობიდან 39,976 ლარის ფულადი სახსრები მიიღო (პროცენტის გადახდებამდე). 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ დროულად დაფარა თავისი ვალდებულებები პირველი რიგის კრედიტორების მიმართ და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აკმაყოფილებდა შესაბამის ფინანსურ პირობებს. 2023 წელს დაფიქსირებულმა ხელსაყრელმა ჰიდროლოგიურმა ფაქტორებმა, თურქეთში საექსპორტო გაყიდვებთან ერთად ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტარიფებზე მნიშვნელოვნად მაღალ ფასად, კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის თავის საბანკო ანგარიშებზე (სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის ჩათვლით) 29,314 ლარის დაგროვების საშუალება მისცა. კომპანიის წმინდა გამომუშავება 2023 წლის განმავლობაში, ბიუჯეტირებულთან შედარებით, 21%-ით მაღალი იყო. ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვისთვის გაკეთებულ ლიკვიდურობის პროგნოზებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ კომპანიას საკმარისი ლიკვიდურობა ექნება ამ პერიოდის განმავლობაში ვადამოსული სესხების გადასახდელად და ასევე ბიზნესის საოპერაციო ხარჯების დასაფარად. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მართებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

სამართლებრივი სტრუქტურა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს კომპანია „Adjaristsqali Netherlands B.V.“ (შემდგომში „ABV“).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Adjaristsqali Netherlands B.V.-ში Tata Power International PTE Limited („ტატა ფაუერი“) – 50%-ს და Clean Energy Invest AS („კლინ ენერჯი ინვესტი“, Norsk Mineral AS-ის შვილობილი საწარმო 96.7%-იანი ფლობით) – 50%-ს ერთობლივად ფლობდნენ და აკონტროლებდნენ (ერთად მოხსენიებულნი, როგორც „სპონსორები“).

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

კომპანია პროექტისთვის კაპიტალს მოიზიდავს ტატა ფაუერისგან და კლინ ენერჯი ინვესტისგან, ხოლო ნასესხებ სახსრებს – პირველი რიგის კრედიტორებისგან – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (საერთაშორისო ფინანსური დაწესებულება), ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან და აზიის განვითარების ბანკისგან.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404401438)

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქ. 129, ბლოკი ბ., მე-3 სართ., N8 კომერციული ფართი.

ელფოსტა: info@agl.com.ge

ვებგვერდი: www.agl.com.ge

თანამშრომლებით დაკომპლექტება

კომპანიას მართავს დირექტორთა საბჭო, რომელთა სახელები რეგისტრირებულია კომპანიის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში.

„აჭარისწყალი ჯორჯიას“ დანერგილი აქვს სააღრიცხვო კონტროლის სისტემები. საბუღალტრო წიგნი ყოველდღიურად ახლდება ელექტრონული აღრიცხვის სისტემაში. ხარჯები და გადახდები დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებული უფლებამოსილების დელეგირებით ხორციელდება. ერთმანეთისგან გამიჯნულია ყველა ოპერაციის შესრულების, შემოწმებისა და დამტკიცების ფუნქციები. სააღრიცხვო ჩანაწერები იწარმოება და წლიური და შუალედური ფინანსური ანგარიშგება მზადდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ბუღალტერი პასუხისმგებელია სააღრიცხვო სისტემაში საჭურნალო გატარებების შესრულებაზე. მთავარი ბუღალტერი ამოწმებს საჭურნალო გატარებებს და აჯერებს სააღრიცხვო ნაშთებს კონტრაჰენტებთან ყოველი თვის ბოლოს. ფინანსური ანგარიშგების სპეციალისტი ამზადებს ყოველთვიურ/კვარტალურ/ნახევარწლიურ და წლიურ საცდელ ბალანსებს ფინანსური დირექტორისთვის გადასახედად წარსადგენად. ფინანსური დირექტორი პასუხისმგებელია საცდელი ბალანსების და ფინანსური ანგარიშგების სპეციალისტის მიერ ფასს-ის მიხედვით მომზადებული შუალედური/წლიური ფინანსური ანგარიშგების ზოგად მიმოხილვაზე. შუალედურ/წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაშვებად ამტკიცებენ გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი.

ფინანსური ინფორმაცია

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს-ები“) შესაბამისად.

ბალანსის ცვლილების დინამიკის და გაუფასურების შეფასების შეჯამება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ გახდა კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები ან მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ხომ არ ექვემდებარება შემცირებას.

ხელმძღვანელობის შეფასებით და დასკვნით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობდა გაუფასურების შემცირების მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო დისკონტირების განაკვეთების კლებითა და სამომავლო თავისუფალი ფულადი ნაკადების დონეების მოსალოდნელზე მეტი ზრდით ბოლო ორი წლის ელექტროენერგიის წარმოების და საექსპორტო გაყიდვების შედეგად, ასევე, 2023 წელს ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების შეცვლილი პირობების თანახმად, საექსპორტო ფანჯრის გაფართოებით. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ გადახედა თავის შეფასებებს და დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების 536,753 ლარის საბალანსო ღირებულება უფრო ნაკლებად იყო შეფასებული, ვიდრე მისი 634,418 ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც გამოთვლილია გაუფასურების ტესტის საფუძველზე, და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარა 97,665 ლარის ოდენობის შესაბამისი გაუფასურების შემცირება.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“

კომერციული ფართი N8, მე-3 სართული, ბლოკი „ბ“, ბაგრატიონის ქ. 129, ბათუმი 6010, საქართველო

ელფოსტა: info@agl.com.ge

WWW.agl.com.ge

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობოდა გამოყენების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა ძირითადი საშუალებების განგრძობითი ექსპლუატაციიდან წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

გამოყენების ღირებულების სავარაუდო ოდენობა განისაზღვრა 9.17%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (2022 წ.: 9.72%), რომელიც პერიოდის განმავლობაში იცვლება მეტწილად ქვეყნისა და კაპიტალის რისკის პრემიის ცვლილების დინამიკის შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენების ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობამ ელექტროენერგიის სამომავლო წარმოების მოცულობა იმ დონეებზე განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება ჰიდროლოგიის ანალიზით მიღებულ გრძელვადიან საშუალო დონეს. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების მთელი ვადის განმავლობაში, ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებით გაყიდვებიდან ამონაგების პროგნოზირებისთვის ხელმძღვანელობამ გამოიყენა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფები. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის შემდგომი პერიოდებისთვის ხელმძღვანელობამ დაუშვა ტარიფი, რომელიც უდრის ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფს, რომელსაც ყოველწლიურად ერიცხება 2%-იანი რთული პროცენტი, რაც შესაბამისობაშია აშშ დოლარის ინფლაციის გრძელვადიან პროგნოზებთან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თურქეთის ელექტროენერგიის ბაზარზე საექსპორტო გაყიდვების ორწლიანი ისტორიის ფონზე, ხელმძღვანელობამ განაახლა მომავალი საექსპორტო გაყიდვების პროგნოზები თავისი სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. დაშვების მიხედვით, საექსპორტო გაყიდვების მოცულობები 2022-2023 წლების ისტორიული გაყიდვების საშუალო მაჩვენებელზე 31%-ით მაღალი იყო 2024-2027 წლებში და 64%-ით მაღალი – 2028 წლის შემდეგ, რადგან ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ 2023 წელს ექსპორტის მიწოდებაზე, მისი აზრით, ერთჯერადი შეზღუდვების უარყოფითი გავლენა აღარ იარსებებდა. საექსპორტო გაყიდვების მოცულობის დაშვებები მოდელში შესაბამისობაშია ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების მიერ დადგენილი დაშვებული საექსპორტო პერიოდების მოქმედ შეზღუდვებთან. მომავალი 5 წლისთვის პროგნოზირებული გასაყიდი ფასები და გადაცემის დანახარჯები ეყრდნობოდა თურქეთის ელექტროენერგიის ბაზრის შესწავლას, რომელიც მოამზადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა და მოგვიანებით გაიზარდა 2%-ით აშშ-ის ინფლაციის პროგნოზების შესაბამისად. პროგნოზირებული გასაყიდი ფასები დაეყრდნო გამოცხადებული დათქმების სცენარს (და არა გაცხადებული პოლიტიკის ან წმინდა ნულოვან სცენარებს, რომლებიც მიჩნეული იქნა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ ალტერნატიულ სცენარებად, რა შემთხვევაშიც ფასები უფრო მაღალი იყო), რომელიც მოიცავდა მხოლოდ გამოცხადებულ და დაპირებულ ნორმატიულ და პოლიტიკურ ცვლილებებს ექსპორტის მიზნობრივ გეოგრაფიულ არეალზე. მომავალში ხელმძღვანელობა დააკვირდება ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და იფიქრებს წმინდა ნულოვანი სცენარისთვის ან გაცხადებული პოლიტიკის სცენარისთვის მეტი წონის მინიჭებას თუ შესაბამისი ნორმატიული და პოლიტიკური ზომები გამოცხადებული ან განხორციელებული იქნება მიზნობრივ გეოგრაფიულ არეალზე. წმინდა ნულოვანი სცენარის გამოყენებით რომ შეფასებულიყო ანაზღაურებადი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების ღირებულება უფრო მაღალი იქნებოდა და მიმდინარე პერიოდის მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების შემცირება შეადგენდა 159,771 ლარს პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის მეტი სავარაუდო მიწოდების და, შესაბამისად, უფრო მაღალი ფასების გამო.

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ დისკონტირების განაკვეთი და საექსპორტო გაყიდვების მოცულობები არის ძირითადი დაშვებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გამოყენების ღირებულების შეფასებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ▶ პროგნოზირებული საექსპორტო გაყიდვების მოცულობების 31%-ით შემცირება 2024-2027 წლებში და 64%-ით – 2028 და მის შემდგომ წლებში 2024-2027 წლების ისტორიული საშუალოს დონემდე, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას გაზრდიდა 4%-ით (23,032 ლარი), ხოლო 2023 წლის მოგებაში ან ზარალში გაუფასურების შემცირება შესაბამისად იკლებდა.
- ▶ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-ით ზრდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას შეამცირებდა 6%-ით (29,771 ლარი), ხოლო 2023 წლის მოგებაში ან ზარალში გაუფასურების შემცირება შესაბამისად იკლებდა.

კომპანიის ინვესტიციები ფინანსდება კომპანიის მფლობელებისგან მიღებული კაპიტალის ინვესტიციებით და სესხებით, ასევე გარე სესხებით, რომლებსაც მისი შვილობილი საწარმო იღებს. გარე სესხების ოდენობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 682,031 ლარს შეადგენდა.

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ განგრძობითი/საოპერაციო საქმიანობიდან 74,411 ლარის ოდენობის ამონაგები მიიღო.

ფინანსური მდგომარეობა

კომპანია ფინანსდება მფლობელებისგან მიღებული კაპიტალის შენატანებით და ისეთი ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრებით, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია.

„აჭარისწყალი ჯორჯიამ“ დაიწყო საოპერაციო საქმიანობიდან ფულის მიღება მას შემდეგ, რაც ელექტროსადგურმა დაიწყო 2020 წელს ფუნქციონირება და მიიღო დაფინანსება თავისი მფლობელისგან. კომპანია დაგეგმილი მოწყობითი სამუშაოებით განსაზღვრულ სავარაუდო ფინანსურ საჭიროებზე დაყრდნობით ახდენს ფულადი ნაკადების გადინების პროგნოზირებას.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შემდგომი დაგეგმვით იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ბალანსის თარიღისთვის კომპანიამ შემდეგი კოეფიციენტები წარმოადგინა:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	-0.3%	-17.4%
ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.97	2.19

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გამოსათვლელად სააქციონერო კაპიტალი შეფარდებულია მფლობელების კაპიტალის და ვალდებულებების მთლიან ოდენობასთან. ლიკვიდურობის კოეფიციენტის გამოსათვლელად მოკლევადიანი აქტივები შეფარდებულია მოკლევადიან ვალდებულებებთან.

ფულადი ნაკადები და დაფინანსების მოთხოვნა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები შემოიფარგლება გაუნაწილებელი მოგების იმ ნაშთით, რომელიც ასახულია კომპანიის ფასს-ების მიხედვით მომზადებულ სავალდებულო ფინანსურ ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 530,216 ათასი ლარის დაგროვილი ზარალი (2022 წლის 31 დეკემბერი: 628,490 ათასი ლარი). ამ პერიოდში დივიდენდებს და აქციონერულ სესხებს ადგილი არ ჰქონია.

მნიშვნელოვანი რისკები და განუსაზღვრელობები

კომპანიამ, 2017 წლის სექტემბრიდან დანერგა რისკების მართვის სტრუქტურა, რომელიც პროექტთან დაკავშირებული რისკების უმეტესობის გამოსავლენად იქნა გამოყენებული. აღნიშნული რისკების ერთობლიობიდან, 10 ძირითადი რისკი განისაზღვრა, როგორც რისკები, რომლებიც უნდა იყოს მიმოხილული დირექტორთა საბჭოს ყველა კრებაზე. ამასთანავე, კომპანიამ დანერგა შესაბამისობის მართვის სისტემა, რომელიც აკონტროლებს მარეგულირებელ, სასესხო და სახელშეკრულებო ვალდებულებების უმეტესობას, რათა მოხდეს შეუსაბამობის პოტენციური რისკების აღმოფხვრა. შეუსაბამობის შემთხვევები და აღნიშნულის შემსუბუქების და აღმოფხვრის გეგმები აუდიტის კომიტეტის და დირექტორთა საბჭოს მიერ არის მიმოხილული.

სტრატეგიული

კომპანიის ერთდერთ ინვესტიციას აღნიშნული პროექტი წარმოადგენს. პროექტი ამონაგებს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვიდან იღებს. 2022 წლის მაისიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და მისი ადგილობრივად გაყიდვა პირდაპირი გაყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ ეტაპზე, ძირითადი რისკი არის ჰიდროლოგიის საკითხი, რადგანაც ის უკავშირდება წარმოებულ რაოდენობას და გაყიდულ ელექტროენერგიას. 2023 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის წარმოება ბიუჯეტთან შედარებით 121%-ს შეადგენდა (2022 წ.: 104%) და ეს პირდაპირ აისახა კომპანიის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ამის შედეგად, კომპანიამ შეძლო გადახდის ვალდებულებების შესრულება პირველი რიგის კრედიტორების მიმართ. ამის შედეგად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აკმაყოფილებდა პირველი რიგის კრედიტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ყველა არსებით პირობას.

საბაზრო

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ საქმიანობას ეწევა საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანიაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. 2022 წლის მაისში კომპანიამ პირველად მოახდინა ელექტროენერგიის ექსპორტი, რამაც განაპირობა უფრო მაღალი ამონაგები, ვიდრე მიიღებდა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში გაყიდვების შედეგად. კომპანიის ექსპორტის უნარი 2025 წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

საოპერაციო

კომპანია საქმიანობის საწყის ეტაპზეა. 2020 წლის იანვარში, გვირაბების სარემონტო სამუშაოები დასრულდა და 2020 წლის მარტიდან ფუნქციონირებაც დაწყებულია. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება. შესაბამისად, საოპერაციო რისკები ამ ეტაპზე უმეტესად ჰიდროლოგიის საკითხებთანაა დაკავშირებული, როგორც აღწერილია ზემოთ. ზემოაღნიშნულ რისკთან ერთად, ის ასევე მიმწოდებლების რისკებით, IT რისკებით და ბიზნეს და სამუშაო პროცესებთან (სარემონტო სამუშაოებში ჩართული სფეროებით შეზღუდული) დაკავშირებული რისკებით გამოწვეულ საოპერაციო რისკებს ექვემდებარება. დირექტორებს მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნული რისკები მისაღებ დონემდე არის შემცირებული მხოლოდ სანდო და ცნობილ მხარეებთან თანამშრომლობის, ძლიერი IT გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისა და შიდა სამუშაო პროცესების მიმოხილვისა და განვითარების შედეგად.

ფინანსური

კომპანიის პოლიტიკა, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, ისეთი ფინანსური რისკების თავიდან აცილებას მოიცავს, როგორებიცაა საკრედიტო ან ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ ფლობს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური ინსტრუმენტები შედგება მხოლოდ ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებისგან, როგორებიც არის სხვა მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სხვა ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები. ფინანსური რისკები მოიცავს საბაზრო რისკებს (სავალუტო კურსის რისკები, საპროცენტო განაკვეთის რისკები და საფასო რისკები) და/ან საკრედიტო რისკებს. კომპანია სავალუტო ბაზრებზე ცვლილებებს და ასევე, სასაქონლო ფასის და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებს ექვემდებარება.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ დაფინანსებას აქციონერებისგან მიღებული შენატანების და საერთაშორისო კრედიტორებისგან (IFC, EBRD და ADB) მიღებული საგარეო სესხის საშუალებით იღებს. სესხების საბოლოოდ ათვისება 2017 წლის 6 თებერვალს მოხდა.

სავალუტო რისკი

კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან. კომპანიას მიაჩნია, რომ ქართული ლარი, როგორც წარსადგენი ვალუტა სჭარბობს ქართულ ანგარიშმგებელ კომპანიებს შორის, ამიტომ ის უფრო შესაფერის და მართებულ ინფორმაციას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს.

კომპანიას აქვს სავალუტო რისკი შესყიდვებზე და საბანკო ნაშთებზე, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. ვალუტა, რომელშიც ოპერაციებია ძირითადად გამოხატული, არის ლარი.

კომპანია არ აფორმებს ხელშეკრულებებს წარმოებულ ინსტრუმენტებზე, თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით.

კანონები და რეგულაციები

კომპანიაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი კანონები და რეგულაციები. ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ ის შესაბამისობაშია ყველა შესაბამის კანონთან და რეგულაციასთან. ხელმძღვანელობა ასევე ადასტურებს, რომ კომპანია შესაბამისობაშია შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ და საქართველოს მთავრობას შორის ხელმოწერილი BOO ხელშეკრულების ყველა მოთხოვნასთან და შესაბამის იურიდიულ მოთხოვნებთან საქართველოში.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

კომერციული ფართი N8, მე-3 სართული, ბლოკი „ბ“, ბაგრატიონის ქ. 129, ბათუმი 6010, საქართველო

ელფოსტა: info@agl.com.ge

WWW.agl.com.ge

ბიზნეს სივრცე, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს, ბუნებრივად არის დაქვემდებარებული რიგ იურიდიულ რისკებს, საგადასახადო რისკებს და საჯარო ორგანოებთან ანგარიშის წარდგენასთან ან სხვა საგარეო ანგარიშგებასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენი პოლიტიკა ითვალისწინებს ჩვენი პერსონალის ცოდნასა და გამოცდილებაში ინვესტიციების განხორციელებას. ამასთანავე, ჩვენ მარეგულირებელი რისკების გამოსავლენად და შესამცირებლად პროფესიონალი ექსპერტები გვყავს დაქირავებული (ანუ საგადასახადო, სამემფასებლო და იურიდიული მრჩეველები).

საქმიანობის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გაყიდვიდან. შპს „აჭარისწყალი ჯორჯიამ“ განავითარა ჰიდროელექტროსადგური, რომელმაც ფუნქციონირება 2020 წლის მარტიდან დაიწყო. 2020 წლის იანვარში, გვირაბების სარემონტო სამუშაოები დასრულდა და 2020 წლის მარტიდან ფუნქციონირებაც დაწყებულია. 2021 წლის მარტში სხალთა ჰესმა 9 მგვტ სიმძლავრით დაიწყო წარმოება. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ საოპერაციო საქმიანობიდან 74,411 ათასი ლარის ამონაგები მიიღო.

გარემოსთან და პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია

კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან და გარემოსთან, და უზრუნველყოფს იმას, რომ გარემოსთვის მიყენებული ნებისმიერი ზარალი თუ ზიანი ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად აღმოიფხვრას. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ შესაბამისობაშია საქართველოს გარემოსდაცვით რეგულაციებთან, აგრეთვე კრედიტორების გარემოსდაცვით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზომებთან.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 41-ს, აქედან 32 მამაკაცი და 9 ქალი იყო.

კომპანიამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და მიეწოდება ყველა თანამშრომელს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

აღნიშნული პოლიტიკა მოიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს, პროცედურებსა და უფლებებს, რათა თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ინფორმაცია კომპანიაში არსებული პროცედურების შესახებ, თუ რა შემთხვევაში რა ზომების მიღება არის საჭირო და ასევე იმისთვის, რომ ყოველდღიური საქმიანობა სწორად, გამჭვირვალედ და დაბრკოლებების გარეშე წარიმართოს.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“ დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, რელიგიის (რწმენის), სქესის, გენდერული იდენტობის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობების, ოჯახური მდგომარეობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ მულტიკულტურული კომპანიაა და უზრუნველყოფს ყველა დასაქმებულისთვის ინკლუზიურ და კეთილგანწყობილ გარემოს.

ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ

კომპანიამ, 2019 წლის დეკემბერში ტექსტილის ქარხნისთვის საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ იქნა მიჩნეული არსებითად დამატებითი განმარტებითი შენიშვნებისთვის.

ინფორმაცია კვლევა-განვითარების შესახებ

წლის განმავლობაში არ ჩატარებულა კვლევისა და განვითარების ღონისძიებები (2022: არცერთი).

ინფორმაცია ბიზნესის ფუნქციონირების სოციალური ასპექტების შესახებ

კომპანიამ, თითქმის ყველა თავისი პროექტის სივრცესთან ახლოს საჯარო ინფორმაციის ოფისი (PIO) გახსნა. აღნიშნული ოფისები პროექტის საქმიანობებთან დაკავშირებით შესაბამის ინფორმაციას ავრცელებენ, ასევე უზრუნველყოფენ ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას მათი შეთავაზებების, პრეტენზიებისა და წინადადებების საშუალებით. პროექტმა დანერგა და ასრულებს დაინტერესებულ მხარეთა გარიგების გეგმას და მრავალი სოციალური ინფრასტრუქტურული პროექტი მიღებულია საზოგადოების განვითარებისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მიმართულებით.

სხვა ინფორმაცია

უფლებამოსილების დელეგირება და საოპერაციო პროცესი

კომპანიას არ აქვს მარკეტინგთან, დისტრიბუციასთან და ინოვაციებთან დაკავშირებული რაიმე საქმიანობები.

კომპანია მმართველი დირექტორების მიერ იმართება. ხარჯების დადასტურება და საბანკო გადახდების ავტორიზაცია დამტკიცებული დადგენილებების საშუალებით ხორციელდება. კომპანიის წესდება კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ თავის საქმიანობას მმართველი გუნდის საშუალებით ახორციელებს: გენერალური დირექტორი – ბატონი სატიშ ბატ, ფინანსური დირექტორი – ბატონი ირაკლი ხაბეიშვილი და მარკეტინგის დირექტორი – ქალბატონი ნინო დადუნაშვილი.

ინფორმაცია ქცევის კოდექსის გამოყენების შესახებ

კომპანია „თანამშრომელთა სახელმძღვანელოს“ დოკუმენტს ემორჩილება, რომელიც კონკრეტულ მოქმედ ქცევის კოდექსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას არეგულირებს.

შინაარსი რეგულარულად გადაიხედება და მასში, საჭიროების შემთხვევაში, დირექტორების ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით შედის კორექტირებები.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

სამომავლო განვითარების გეგმები

ინვესტიციები და დაფინანსება

2020 წლის მარტიდან შუახევის 3ესი უკვე ფუნქციონირებს, ხოლო სხალთა 3ესმა მუშაობა 2021 წლის მარტიდან დაიწყო.

კვლევა და განვითარება

კომპანია არ გეგმავს რამე დამატებითი რესურსების გამოყოფას და რამენაირი კვლევისა და განვითარების საქმიანობების წარმოებას მომავალში.

გარემოებები რომლებზეც ბრუნვის/მომგებიანობის ზრდა არის დამოკიდებული

კომპანია არის ჰოლდინგური კომპანია და მის ძირითად საქმიანობებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. სტაბილური და შესაფერისი სტრატეგიის ჩამოყალიბების მიზნით ამ ქვეყნებში ელექტროენერგიის გასაყიდად, პროექტის ექსპლუატაციაში გაშვებასთან ახლოს, ელექტროენერგიის ბაზრების რყევების და საქართველოში მოქმედი რეგულაციების მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება.

მმართველობის ანგარიში ხელმოწერილია 2024 წლის 27 მარტს.



სატი ბატი

აღმასრულებელი დირექტორი



ირაკლი ხაბეიშვილი

ფინანსური დირექტორი

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები	5-32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მფლობელსა და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტისთვის და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტი, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)]

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

27 მარტი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.* (გადაანგარიშებული)
აქტივები			
ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე			
გადახდილი ავანსები	8	634,418	547,635
არამატერიალური აქტივები		698	767
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	10	24,882	20,002
სხვა აქტივები		605	593
გრძელვადიანი აქტივები		660,603	568,997
მარაგები	14	5,926	4,724
გადახდილი ავანსები	13	2,488	3,168
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	6,492	3,742
საგადასახადო აქტივები, წმინდა		390	1,085
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	4,861	7,904
მოკლევადიანი აქტივები		20,157	20,623
სულ აქტივები		680,760	589,620
საკუთარი კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		297,078	297,078
დამატებით შეტანილი კაპიტალი		206,328	206,328
დაგროვილი ზარალი		(530,216)	(628,490)
საკურსო სხვაობის რეზერვები		24,453	22,472
სულ საკუთარი კაპიტალი		(2,357)	(102,612)
ვალდებულებები			
სესხები და ნასესხები სახსრები	12	672,764	682,775
სხვა ვალდებულებები		105	41
გრძელვადიანი ვალდებულებები		672,869	682,816
სესხები და ნასესხები სახსრები	12	9,267	8,666
სხვა ვალდებულებები		981	750
მოკლევადიანი ვალდებულებები		10,248	9,416
სულ ვალდებულებები		683,117	692,232
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		680,760	589,620

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ასახავს სესხის მომსახურებისთვის სარეზერვო საბანკო ანგარიშის წარდგენაში შესულ კორექტირებას, რომელიც მე-10 შენიშვნაშია აღწერილი.

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2024 წლის 27 მარტს:

სატიშ ბატ

ირაკლი ხაბეიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		12-თვიანი დასრულებული პერიოდისთვის	12-თვიანი დასრულებული პერიოდისთვის
	შენიშვნა	31-დეკ.-2023	31-დეკ.-2022
ამონაგები ოპერაციებიდან	4	74,411	94,621
საოპერაციო ხარჯები	5	(34,811)	(37,349)
სხვა შემოსავალი		528	559
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(8,806)	(8,201)
სხვა ხარჯები		(297)	(488)
საოპერაციო შედეგები		31,025	49,142
ფინანსური შემოსავალი		1,914	608
ფინანსური დანახარჯები		(32,330)	(29,268)
წმინდა ფინანსური დანახარჯები	7	(30,416)	(28,660)
ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემცირება	8	97,665	2,018
მოგება დაბეგვრამდე		98,274	22,500
მოგებიდან გადასახადები		–	–
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ		98,274	22,500
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე			
მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირება არ ხდება			
საკუროსო სხვაობებიდან მიღებული შემოსულობა		1,981	16,564
სხვა სრული შემოსავალი, სულ		1,981	16,564
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		100,255	39,064

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	საკურსო სხვაობის რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	297,078	206,328	(650,990)	5,908	(141,676)
პერიოდის მოგება	–	–	22,500	–	22,500
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–	16,564	16,564
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	22,500	16,564	39,064
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	297,078	206,328	(628,490)	22,472	(102,612)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	297,078	206,328	(628,490)	22,472	(102,612)
პერიოდის მოგება			98,274		98,274
სხვა სრული შემოსავალი				1,981	1,981
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	98,274	1,981	100,255
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	297,078	206,328	(530,216)	24,453	(2,357)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

		12-თვიანი დასრულებული პერიოდისთვის	
		31-დეკ.-2022 *	
შენიშვნა	31-დეკ.-2023	(გადაანგარიშებული)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე	98,274	22,500	
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	11,245	12,200	
ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემცირება	8 (97,665)	(2,018)	
გადახდილი ავანსის ჩამოწერა	77	-	
წმინდა ფინანსური დანახარჯები	7 30,416	28,660	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (შემოსულობა) ზარალი	(77)	351	
	42,270	61,693	
<i>ცვლილება შემდეგ მუხლებში:</i>			
მარაგები	(1,202)	682	
გადახდილი ავანსები	680	(877)	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(2,750)	(1,589)	
საგადასახადო აქტივები, წმინდა	695	(128)	
სხვა აქტივები	(12)	63	
სხვა ვალდებულებები	295	(4,225)	
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან პროცენტის გადახდამდე	39,976	55,619	
გადახდილი პროცენტი	12 (31,534)	(26,708)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	8,442	28,911	
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მიღებული პროცენტი	1,902	608	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,959)	(385)	
არამატერიალური აქტივების შეძენა	(62)	(145)	
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	139	
შეზღუდული წვდომის დეპოზიტებზე წმინდა გადატანა	(3,240)	(20,342)	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(4,359)	(20,125)	
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
დაფარვის მოთხოვნის უპირატესი უფლების მქონე სესხების დაფარვა	12 (6,962)	(6,584)	
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა	-	(44)	
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,962)	(6,628)	
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა	(2,879)	2,158	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	7,904	9,381	
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(164)	(3,635)	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,861	7,904	

* გარკვეული თანხები არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან ასახავს სესხის მომსახურებისთვის სარეზერვო საბანკო ანგარიშის წარდგენაში შესულ კორექტირებას, რომელიც მე-10 შენიშვნაშია აღწერილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებას თან ერთვის, ან მისი ნაწილია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. კორპორაციული ინფორმაცია

(ა) სამართლებრივი ფორმა და საქმიანობა

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2011 წლის 8 ივნისს შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404401438.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ბაგრატიონის ქ. 129, მე-3 სართული, ბათუმი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფლობს კომპანია „Adjaristsqali Netherlands B.V.“ (შემდგომში „ABV“).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, Adjaristsqali Netherlands B.V.-ში Tata Power International PTE Limited („ტატა ფაუერი“) – 50%-ს და Clean Energy Invest AS („კლინ ენერჯი ინვესტი“, Norsk Mineral AS-ის შვილობილი საწარმო 96.7%-იანი ფლობით) – 50%-ს ერთობლივად ფლობდნენ და აკონტროლებდნენ (ერთად მოხსენიებულნი, როგორც „სპონსორები“).

კომპანია პროექტისთვის კაპიტალს მოიზიდავს ტატა ფაუერისგან და კლინ ენერჯი ინვესტისგან, ხოლო ნასესხებ სახსრებს – პირველი რიგის კრედიტორებისგან – საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (საერთაშორისო ფინანსური დაწესებულება), ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკისგან და აზიის განვითარების ბანკისგან.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე (იხ. მე-2 შენიშვნა).

ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმო

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 9,909 ლარით აღემატებოდა. კომპანიამ 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წმინდა მოგება 98,274 ლარის ოდენობით აღრიცხა (საიდანაც 97,665 ლარი უკავშირდებოდა მანამდე აღიარებული გაუფასურების არაფულად შემცირებას) და საოპერაციო საქმიანობიდან 39,976 ლარის ფულადი სახსრები მიიღო (პროცენტის გადახდებამდე). 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ დროულად დაფარა თავისი ვალდებულებები პირველი რიგის კრედიტორების მიმართ და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის აკმაყოფილებდა შესაბამის ფინანსურ პირობებს. 2023 წელს დაფიქსირებულმა ხელსაყრელმა ჰიდროლოგიურმა ფაქტორებმა, თურქეთში საექსპორტო გაყიდვებთან ერთად ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტარიფებზე მნიშვნელოვნად მაღალ ფასად, კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის თავის საბანკო ანგარიშებზე (სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის ჩათვლით) 29,314 ლარის დაგროვების საშუალება მისცა. კომპანიის წმინდა გამომუშავება 2023 წლის განმავლობაში, ბიუჯეტირებულთან შედარებით, 21%-ით მაღალი იყო. ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვისთვის გაკეთებულ ლიკვიდურობის პროგნოზებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ კომპანიას საკმარისი ლიკვიდურობა ექნება ამ პერიოდის განმავლობაში ვადამოსული სესხების გადასახდელად და ასევე ბიზნესის საოპერაციო ხარჯების დასაფარად. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ მართებულია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. განსჯა და შეფასება

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გააკეთა განსჯა და შეფასებები, რომლებიც აისახება სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივებისა და ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ფინანსური ანგარიშგების ფას-ების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევნი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადახედილი სააღრიცხვო შეფასებების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა შეფასებების გადახედვა და ყველა იმ მომავალ პერიოდში, რომლებზეც ამან გავლენა მოახდინა.

ინფორმაცია დაშვებებისა და განუსაზღვრელობის შეფასებების შესახებ, რომელთაც ახლავს მნიშვნელოვანი რისკი, რომ მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, ასახულია შემდეგ შენიშვნაში:

- ▶ მე-8 შენიშვნა – კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ამონაგები ოპერაციებიდან

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა განახლებადი ელექტროენერგიის წარმოება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ორი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სს „ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორთან“ („ესკო“) ელექტროენერგიის გაყიდვის თაობაზე – ერთი შუახევი ჰესის და მეორე სხალთა ჰესისთვის.

2022 წლის მაისიდან კომპანიამ დაიწყო ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთში და ელექტროენერგიის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვა პირდაპირი გაყიდვის ხელშეკრულებებით.

ამონაგები ელექტროენერგიის გაყიდვიდან გამოითვლება ყოველთვიურად მომხმარებლებისთვის მიყიდული ელექტროენერგიის ოდენობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება ესკოს მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით და საექსპორტო გაყიდვების ყოველკვირეული ანგარიშგაქტურებით.

2023 წელს ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესული ცვლილების მიხედვით, კომპანიას შეეძლო ელექტროენერგიის ექსპორტი ოთხი თვის განმავლობაში 2023 წელს და კიდევ ერთი დამატებითი თვის განმავლობაში მარეგულირებლის თანხმობის შემთხვევაში. 2024 წლიდან კომპანიას ცხრათვიანი მოქნილი ვადა ექნება საექსპორტო გაყიდვებისთვის. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ცვლილების თანახმად, კომპანიას უფლება აქვს თავისი ნაწარმოები ელექტროენერგია მთლიანად მიჰყიდოს ესკოს მომდევნო 11 წლის განმავლობაში (2035 წლის აპრილამდე) შეთანხმებული ტარიფით.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ძირითადი საქმიანობიდან ამონაგები 74,411 ლარს გაუტოლდა (2022 წ.: 94,621 ლარი).

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების შესახებ.

	2023	2022
სავალდებულო გაყიდვები ესკოზე	50,339	44,417
საექსპორტო გაყიდვები (დ)	15,092	43,352
პირდაპირი გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე	8,783	3,609
ნებაყოფლობითი გაყიდვები ესკოზე	–	3,243
გაყიდვები საბალანსო ბაზარზე	197	–
	74,411	94,621

(ა) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების დეზაგრეგირება

	2023	2022
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
საქართველო	59,319	51,269
თურქეთი	15,092	43,352
	74,411	94,621

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ამონაგები ოპერაციებიდან (გაგრძელება)

(ბ) სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივი არის საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემის სანაცვლოდ მათი ღირებულების მიღების უფლება. თუ კომპანია მომხმარებელს საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებლის მიერ ანაზღაურების გადახდამდე ან გადახდის თარიღის დადგომამდე, სახელშეკრულებო აქტივის აღიარება ხდება მიღებული პირობითი ღირებულებისთვის. კომპანიას არ აქვს სახელშეკრულებო აქტივები, ვინაიდან ვალდებულების შესრულება და ანაზღაურების მიღების უფლება წარმოიშობა ხანმოკლე ვადით და ყველა უფლება ანაზღაურების მიღებაზე უპირობოა.

კომპანიამ 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები:

	2023	2022
სავაჭრო მოთხოვნები	6,492	3,742
	6,492	3,742

სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებებს მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო. სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია ლარში. ყველა სავაჭრო მოთხოვნა მოკლევადიანია. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ არის არსებითი.

(გ) შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების პოლიტიკა

ამონაგები განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე. კომპანია ამონაგებს მაშინ აღიარებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს კლიენტს გადასცემს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. ამონაგები ოპერაციებიდან (გაგრძელება)

(გ) შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების პოლიტიკა (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხასიათისა და დროულობის, გადახდის მნიშვნელოვანი თარიღების და შესაბამისი ამონაგების აღიარების პოლიტიკის შესახებ:

სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ხასიათი და დროულობა, მათ შორის, გადახდის მნიშვნელოვანი		ამონაგების აღიარების პოლიტიკა
მომსახურების ტიპი პირობები		
შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან	სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება ხდება მაშინ, როდესაც ელექტროენერგია გადაეცემა ბითუმად მოვაჭრეს და მიიღება ამ უკანასკნელის მიერ. ინვოისი გამოიწერება ყოველთვიურად. გადაცემული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა, ჩვეულებრივ, ხდება საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 28 რიცხვში. 1 კვტს-ს ფასი განისაზღვრება ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებით ან, ექსპორტის ან ადგილობრივ ბაზარზე პირდაპირი გაყიდვების შემთხვევაში, მომხმარებლებთან დადებული შესაბამისი მოკლევადიანი ხელშეკრულებების პირობებით.	ამონაგების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში, ვინაიდან მომსახურება გაიწევა ყოველთვიურად ბითუმად მოვაჭრეებზე გადაცემული ელექტროენერგიის მოცულობიდან გამომდინარე. გადაცემული ელექტროენერგია იზომება მრიცხველებით, რომლებიც დამონტაჟებულია კომპანიის ჰიდროელექტროსადგურების საქართველოს ელექტროსისტემასთან დამაკავშირებელ წერტილებში.

ამონაგები ფასდება ხელშეკრულებით შეთანხმებული გარიგების ფასით. ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ელექტროენერგიის გადაცემის შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის საფუძველზე.

(დ) საექსპორტო სიმძლავრის შეზღუდვა

2023 წლის მაისსა და ივნისში კომპანია აპირებდა ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანას. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (სსე) მიერ შემოღებული საექსპორტო სიმძლავრის შეზღუდვის გამო, კომპანიამ მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო საექსპორტო გაყიდვების განხორციელება. საექსპორტო სიმძლავრის შეზღუდვა კომპანიას 2022 წელსაც შეეხო, მაგრამ ვინაიდან შეზღუდული სიმძლავრე მცირე იყო, კომპანიას პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სსე-სთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, კომპანიამ სსე-ს გამოუწერა ანგარიშგაქტურები 2023 წლის მაისში-ივნისში დაკარგული ამონაგების ასანაზღაურებლად 5,740 ლარის მთლიან თანხაზე. კომპანიას არ უღიარებია ამონაგები ამ მოთხოვნილ ანაზღაურებასთან მიმართებით, რადგან 2023 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობას მაღალი დონის განუსაზღვრელობა ახლავს.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
ცვეთა	10,797	11,851
დაზღვევის ხარჯი	6,911	7,614
გადაცემა და მარეგულირებლის საკომისიო	5,194	6,705
ქონების გადასახადი	5,766	5,805
ტექნიკური მომსახურების ხარჯები	2,500	2,645
პერსონალზე გაწეული ხარჯი	3,017	1,948
სხვა	626	781
	34,811	37,349

6. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
პერსონალზე გაწეული ხარჯი	1,877	1,769
პროფესიული მომსახურება	2,137	1,873
იურიდიული ხარჯები	1,008	1,071
სოციალური დანახარჯები	879	707
ცვეთა და ამორტიზაცია	448	349
სხვა	2,457	2,432
სულ	8,806	8,201

7. წმინდა ფინანსური დანახარჯები

	2023	2022
აღიარებული მოგება-ზარალში		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	1,902	608
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა	12	-
ფინანსური შემოსავალი	1,914	608
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(32,330)	(29,162)
საკურსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი	-	(106)
ფინანსური დანახარჯები	(32,330)	(29,268)
მოგება-ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური დანახარჯები	(30,416)	(28,660)

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილების დინამიკა დაფიქსირდა:

	გრძელვადი- ან	ელექტრო- საკომუნიკა- ციური ციო და სხვა	საშენებლო კონსტრუქ- ციები	მექანიკური ალჭურ- ვილობა	ალჭურვი- ლობა	გადამცემი ხაზი	სხვა	სულ		
დაუმთავ- რებელი აქტივები	აქტივებში გადახდილი ავანსები	შენობა- ნაგებობები	მიწა							
თვითღირებულება										
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	76	90,085	17,929	1,101,581	222,367	5,027	15,822	4,535	1,457,422
შემოსვლები	164	–	65	9	–	63	–	40	44	385
გასვლები	–	–	–	–	(593)	–	–	–	(98)	(691)
ჩამოწერები	–	–	–	–	(512)	–	–	–	–	(512)
წარსადგენ ვალუტაში										
გადაყვანის ეფექტი	–	(10)	(11,505)	(2,290)	(140,685)	(28,399)	(642)	(2,021)	(579)	(186,131)
შიდა გადაცემა	–	(45)	–	–	–	–	–	–	–	(45)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	164	21	78,645	15,648	959,791	194,031	4,385	13,841	3,902	1,270,428
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	164	21	78,645	15,648	959,791	194,031	4,385	13,841	3,902	1,270,428
შემოსვლები	173	696	160	8	252	627	2	143	898	2,959
შიდა გადაცემა	(75)	–	958	42	(87)	2,126	(3)	(1,996)	(965)	–
ჩამოწერები		(73)				(2)			(2)	(77)
წარსადგენ ვალუტაში										
გადაყვანის ეფექტი	(1)	(0)	(363)	(73)	(4,476)	(905)	(20)	(65)	(18)	(5,921)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	261	644	79,400	15,625	955,480	195,877	4,364	11,923	3,815	1,267,389

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

	გრძელვადი- ან დაუმთავ- რებელი აქტივები	აქტივებში გადახდილი ავანსები	შენობა- ნაგებობები	მიწა	სამშენებლო კონსტრუქ- ციები	ელექტრ- მექანიკური აღჭურ- ვილობა	საკომუნიკა- ციო და სხვა აღჭურვი- ლობა	გადამცემი ხაზი	სხვა	სულ
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება										
2022 წლის 1 იანვრის										
მდგომარეობით	–	–	(50,605)	(12,099)	(611,759)	(128,576)	(3,576)	(9,683)	(2,636)	(818,934)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	–	(842)	–	(6,284)	(4,092)	(428)	(186)	(203)	(12,035)
ცვეთა და გაუფასურება გასვლების და ჩამოწერების შედეგად	–	–	–	–	616	–	–	–	98	714
გაუფასურების შემცირება	–	–	121	19	1,561	290	3	19	5	2,018
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	–	–	6,520	1,545	78,578	16,715	487	1,248	351	105,444
ნაშთი 2022 წლის 31										
დეკემბრის მდგომარეობით	–	–	(44,806)	(10,535)	(537,288)	(115,663)	(3,514)	(8,602)	(2,385)	(722,793)
2023 წლის 1 იანვრის										
მდგომარეობით	–	–	(44,806)	(10,535)	(537,288)	(115,663)	(3,514)	(8,602)	(2,385)	(722,793)
ცვეთა წლის განმავლობაში	–	–	(710)	–	(5,878)	(3,743)	(397)	(173)	(317)	(11,218)
შიდა გადაცემა	–	–	(919)	13	4	(1,277)	1	1,953	225	–
გაუფასურების შემცირება	–	–	5,888	934	76,044	13,722	86	951	40	97,665
წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის ეფექტი	–	–	209	49	2,511	539	16	40	11	3,375
ნაშთი 2023 წლის 31										
დეკემბრის მდგომარეობით	–	–	(40,338)	(9,539)	(464,607)	(106,422)	(3,808)	(5,831)	(2,426)	(632,971)
საბალანსო ღირებულებები										
2022 წლის 31 დეკემბრის										
მდგომარეობით	164	21	33,839	5,113	422,503	78,368	871	5,239	1,517	547,635
2023 წლის 31 დეკემბრის										
მდგომარეობით	261	644	39,062	6,086	490,873	89,455	556	6,092	1,389	634,418

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

(ა) უსაფრთხოება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 634,418 ლარის ძირითადი საშუალებები მთლიანად არის დაგირავებული პირველი რიგის კრედიტორებთან (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად (2022 წლის 31 დეკემბერი: 547,635 ლარი).

(ბ) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, ხომ არ გახდა კომპანიის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები ან მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი ხომ არ ექვემდებარება შემცირებას.

ხელმძღვანელობის შეფასებით და დასკვნით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებობდა გაუფასურების შემცირების მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები წარმოდგენილი იყო დისკონტირების განაკვეთების კლებითა და სამომავლო თავისუფალი ფულადი ნაკადების დონეების მოსალოდნელზე მეტი ზრდით ბოლო ორი წლის ელექტროენერგიის წარმოების და საექსპორტო გაყიდვების შედეგად, ასევე, 2023 წელს ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების შეცვლილი პირობების თანახმად, საექსპორტო ფანჯრის გაფართოებით. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ გადახედა თავის შეფასებებს და დაასკვნა, რომ ძირითადი საშუალებების 536,753 ლარის საბალანსო ღირებულება უფრო ნაკლებად იყო შეფასებული, ვიდრე მისი 634,418 ლარის ანაზღაურებადი ღირებულება, რომელიც გამოთვლილია გაუფასურების ტესტის საფუძველზე, და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მოგება-ზარალის ანგარიშგებებში აღიარა 97,665 ლარის ოდენობის შესაბამისი გაუფასურების შემცირება.

ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულება ეყრდნობოდა გამოყენების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრა ძირითადი საშუალებების განგრძობითი ექსპლუატაციიდან წარმოქმნილი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით.

გამოყენების ღირებულების სავარაუდო ოდენობა განისაზღვრა 9.17%-იანი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (2022 წ.: 9.72%), რომელიც პერიოდის განმავლობაში იცვლება მეტწილად ქვეყნისა და კაპიტალის რისკის პრემიის ცვლილების დინამიკის შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენების ღირებულების შესაფასებლად ხელმძღვანელობამ ელექტროენერგიის სამომავლო წარმოების მოცულობა იმ დონეებზე განსაზღვრა, რომლებიც შეესაბამება ჰიდროლოგიის ანალიზით მიღებულ გრძელვადიან საშუალო დონეს. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებების მთელი ვადის განმავლობაში, ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულებებით გაყიდვებიდან ამონაგების პროგნოზირებისთვის ხელმძღვანელობამ გამოიყენა ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფები. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ვადის შემდგომი პერიოდებისთვის ხელმძღვანელობამ დაუშვა ტარიფი, რომელიც უდრის ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების ტარიფს, რომელსაც ყოველწლიურად ერიცხება 2%-იანი რთული პროცენტი, რაც შესაბამისობაშია აშშ დოლარის ინფლაციის გრძელვადიან პროგნოზებთან.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. ძირითადი საშუალებები და გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი ავანსები (გაგრძელება)

(ბ) კომპანიის ძირითადი საშუალებების გაუფასურების ტესტი (გაგრძელება)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თურქეთის ელექტროენერგიის ბაზარზე საექსპორტო გაყიდვების ორწლიანი ისტორიის ფონზე, ხელმძღვანელობამ განაახლა მომავალი საექსპორტო გაყიდვების პროგნოზები თავისი სავარაუდო ანაზღაურებადი ღირებულების გამოთვლებში. დაშვების მიხედვით, საექსპორტო გაყიდვების მოცულობები 2022-2023 წლების ისტორიული გაყიდვების საშუალო მაჩვენებელზე 31%-ით მაღალი იყო 2024-2027 წლებში და 64%-ით მაღალი – 2028 წლის შემდეგ, რადგან ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ 2023 წელს ექსპორტის მიწოდებაზე, მისი აზრით, ერთჯერადი შეზღუდვების უარყოფითი გავლენა აღარ იარსებებდა. საექსპორტო გაყიდვების მოცულობის დაშვებები მოდელში შესაბამისობაშია ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების მიერ დადგენილი დაშვებული საექსპორტო პერიოდების მოქმედ შეზღუდვებთან. მომავალი 5 წლისთვის პროგნოზირებული გასაყიდი ფასები და გადაცემის დანახარჯები ეყრდნობოდა თურქეთის ელექტროენერგიის ბაზრის შესწავლას, რომელიც მოამზადა დამოუკიდებელმა ექსპერტმა და მოგვიანებით გაიზარდა 2%-ით აშშ-ის ინფლაციის პროგნოზების შესაბამისად. პროგნოზირებული გასაყიდი ფასები დაეყრდნო გამოცხადებული დათქმების სცენარს (და არა გაცხადებული პოლიტიკის ან წმინდა ნულოვანი სცენარებს, რომლებიც მიჩნეული იქნა გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ ალტერნატიულ სცენარებად, რა შემთხვევაშიც ფასები უფრო მაღალი იყო), რომელიც მოიცავდა მხოლოდ გამოცხადებულ და დაპირებულ ნორმატიულ და პოლიტიკურ ცვლილებებს ექსპორტის მიზნობრივ გეოგრაფიულ არეალზე. მომავალში ხელმძღვანელობა დააკვირდება ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს და იფიქრებს წმინდა ნულოვანი სცენარისთვის ან გაცხადებული პოლიტიკის სცენარისთვის მეტი წონის მინიჭებას თუ შესაბამისი ნორმატიული და პოლიტიკური ზომები გამოცხადებული ან განხორციელებული იქნება მიზნობრივ გეოგრაფიულ არეალზე. წმინდა ნულოვანი სცენარის გამოყენებით რომ შეფასებულიყო ანაზღაურებადი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოყენების ღირებულება უფრო მაღალი იქნებოდა და მიმდინარე პერიოდის მოგებაში ან ზარალში აღიარებული გაუფასურების შემცირება შეადგენდა 159,771 ლარს პროგნოზირებული პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის მეტი სავარაუდო მიწოდების და, შესაბამისად, უფრო მაღალი ფასების გამო.

ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ დისკონტირების განაკვეთი და საექსპორტო გაყიდვების მოცულობები არის ძირითადი დაშვებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გამოყენების ღირებულების შეფასებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- ▶ პროგნოზირებული საექსპორტო გაყიდვების მოცულობების 31%-ით შემცირება 2024-2027 წლებში და 64%-ით – 2028 და მის შემდგომ წლებში 2024-2027 წლების ისტორიული საშუალოს დონემდე, ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას გაზრდიდა 4%-ით (23,032 ლარი), ხოლო 2023 წლის მოგებაში ან ზარალში გაუფასურების შემცირება შესაბამისად იკლებდა.
- ▶ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის 1%-ით ზრდა ძირითადი საშუალებების ანაზღაურებად ღირებულებას შეამცირებდა 6%-ით (29,771 ლარი), ხოლო 2023 წლის მოგებაში ან ზარალში გაუფასურების შემცირება შესაბამისად იკლებდა.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31-დეკ.-23	31-დეკ.-2022 (გადაანგარიშებული)
საბანკო ნაშთები	4,861	7,904
სულ:	4,861	7,904

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია ქართულ და უცხოურ კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებით. ამ ანგარიშებს ერიცხება წლიური 1%-6.5%. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავალი ანაბრებზე გაუტოლდა 533 ლარს (2022 წ.: 608 ლარი). კომპანიის საბანკო ნაშთებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა, როგორც არაარსებითი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

10. შეზღუდული წვდომის დეპოზიტები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 24,882 ლარი (2022 წ.: 20,002 ლარი) განთავსდა BBB+ (Fitch) რეიტინგის მქონე უცხოურ ბანკში სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშზე, რომელიც შეიქმნა სასესხო შეთანხმების პირობების თანახმად კომპანიის ნასესხები სახსრების სამომავლო დაფარვების მიზნით. სასესხო ხელშეკრულებების პირობების თანახმად, კომპანია ვალდებულია შეავსოს სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიში ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრულ თანხამდე – 15 მილიონ აშშ დოლარამდე. სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშიდან თანხის გამოტანის შესაძლებლობა კომპანიას შეზღუდული აქვს საბანკო ანგარიშის ხელშეკრულების პირობებით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის სასესხო ვალდებულებების დაფარვის ვიწრო მიზნობრიობას (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის სხვა საბანკო ანგარიშებზე არასაკმარისი ფულია ხელმისაწვდომი) ან 15 მილიონი აშშ დოლარის ზღვრის ზემოთ სხვა ანგარიშებზე ნაშთების გადარიცხვას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. შეზღუდული წვდომის დეპოზიტები (გაგრძელება)

შესადარის ფინანსურ ინფორმაციაში შესული ცვლილებები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობამ გადახედა სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის კლასიფიცირებას და დაასკვნა, რომ, ანგარიშის ხელშეკრულებით პირობებით ამ თანხებზე კომპანიის წვდომის შეზღუდვის გამო, ისინი არ აკმაყოფილებს ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების განმარტებას ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ მიხედვით და, შესაბამისად, ცალკე უნდა აისახოს გრძელვადიან აქტივებში, როგორც შეზღუდული წვდომის დეპოზიტები. შესაბამისად, შესადარის ფინანსურ ინფორმაციაში შემდეგი ცვლილებები შევიდა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	გადაანგარიშე- ბამდე	გადაანგარიშება	გადაანგარიშე- ბული
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	–	20,002	20,002
გრძელვადიანი აქტივები	548,995	20,002	568,997
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27,906	(20,002)	7,904
მოკლევადიანი აქტივები	40,625	(20,002)	20,623

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	გადაანგარიშე- ბამდე	გადაანგარიშება	გადაანგარიშე- ბული
შეზღუდული წვდომის დეპოზიტებზე გადატანები	–	(20,342)	(20,342)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	217	(20,342)	(20,125)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	22,500	(20,342)	2,158
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(3,975)	340	(3,635)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	27,906	(20,002)	7,904

განმარტებითი შენიშვნები შესაბამისად ჩასწორდა. სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის წარდგენის ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2022 წელს გაცხადებულ მოგება-ზარალზე და მთლიან სრულ შემოსავალზე, ან კომპანიის მიერ ფინანსური პირობების დაკმაყოფილების სტატუსზე.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. შეზღუდული წვდომის დეპოზიტები (გაგრძელება)

შესადარის ფინანსურ ინფორმაციაში შესული ცვლილებები (გაგრძელება)

სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიშის წარდგენის ცვლილების ეფექტი 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შუალედურ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელიც გამოსაცემად დამტკიცდა 2023 წლის 1 სექტემბერს, ასე გამოიყურებოდა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)	გადაანგარიშე- ბამდე	გადაანგარიშგება	გადაანგარიშე- ბული
შეზღუდული წვდომის დეპოზიტები	–	33,739	33,739
გრძელვადიანი აქტივები	527,163	33,739	560,902
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	40,437	(33,739)	6,698
მოკლევადიანი აქტივები	57,887	(33,739)	24,148

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის (არააუდიტირებული)	გადაანგარიშე- ბამდე	გადაანგარიშგება	გადაანგარიშე- ბული
შეზღუდული წვდომის დეპოზიტებზე წმინდა გადატანა	–	(13,823)	(13,823)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	69	(13,823)	(13,754)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	12,573	(13,823)	(1,250)
სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(42)	86	44
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	40,437	(33,739)	6,698

11. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის წესდებაში მითითებული კაპიტალის ნომინალურ ოდენობას. 2023 წლისა და 2022 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი არ შეცვლილა.

(ბ) დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში ABV-ისგან ფულად შენატანს ხარჯების გადაჭარბების მხარდასაჭერად.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შეზღუდულია კომპანიის მიერ მიღებული მოგების ოდენობით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დაგროვილი ზარალი 530,216 ლარს შეადგენდა (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 628,490 ლარი). 2023 და 2022 წლებში კომპანიას დივიდენდები არ გამოუცხადებია და არ გადაუხდია.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სესხები და ნასესხები სახსრები

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული პროცენტის სესხებისა და ნასესხები სახსრების სახელშეკრულებო პირობების შესახებ.

	31-დეკ.-23	31-დეკ.-22
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	9,267	8,666
	9,267	8,666
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული უზრუნველყოფილი სესხები	672,764	682,775
	672,764	682,775
	682,031	691,441

(ა) ვადები და დავალიანების დაფარვის გრაფიკი

მიმდინარე სესხების პირობები:

უზრუნველყოფილი საბანკო სესხები:	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საბალანსო ღირებულებები	
			31-დეკ.-23	31-დეკ.-22
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	179,674	182,091
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	64,972	65,874
აზიის განვითარების ბანკის „ა“ ტრანში – ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	172,891	175,244
აზიის განვითარების ბანკის „ა“ ტრანში – მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	31,283	31,727
აზიის განვითარების ბანკის „ბ“ ტრანში – ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	41,760	42,388
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ფიქსირებული განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	140,715	142,735
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცოცავი განაკვეთის მქონე ტრანშები	აშშ დოლარი	2034	50,736	51,382
მთლიანი პროცენტის ვალდებულებები			682,031	691,441

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ბ) უზრუნველყოფა

კომპანიის ყველა აქტივი დაგირავებულია პირველი რიგის კრედიტორებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

(გ) ვალდებულებების ცვლილების დინამიკის შეჯერება ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან

სესხები და ნასესხები სახსრები	სესხები და ნასესხები სახსრები	
	2023	2022
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	691,441	799,985
ცვლილებები ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებიდან		
სესხებისა და ნასესხები სახსრების დაფარვა	(6,962)	(6,584)
სულ ცვლილებები ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებიდან	(6,962)	(6,584)
უცხოური ვალუტის კონვერტაციის ეფექტი	(3,244)	(104,234)
სხვა ცვლილებები		
ვალდებულებასთან დაკავშირებული		
საპროცენტო ხარჯი	32,330	28,982
გადახდილი პროცენტი	(31,534)	(26,708)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	795	2,274
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	682,031	691,441

(დ) სამართლიანი ღირებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 532,491 ლარით (2022 წ.: 549,299 ლარი) მე-3 დონის შემოსავლის მეთოდით შეფასების ხერხის მეშვეობით, რა დროსაც გამოყენებული იქნა ნასესხები სახსრების ვადისა და ვალუტის შესაბამისი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი. მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ტრანშების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

13. გადახდილი ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდილი ავანსები მოიცავს წინასწარ გადახდილ სადაზღვევო ხარჯს 1,635 ლარის ოდენობით (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,532 ლარი). სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებს ქონების დაზიანების, საქმიანობის შეწყვეტის, სტიქიური უბედურებებით, ტერორიზმით ან საბოტაჟური ქმედებებით გამოწვეული ზარალის და მესამე მხარეთა წინაშე პასუხისმგებლობის სადაზღვევო დაფარვას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. მარაგები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ნაშთი მოიცავს 3,449 ლარის სათადარიგო ნაწილებს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,467 ლარი), რომლებიც საჭიროა ჰესების სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯებისთვის და 2,477 ლარის ოდენობის სხვა მარაგებს (2022 წ.: 1,257 ლარი).

15. პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო დავა

კომპანიას სასამართლო დავა აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რომელმაც სარჩელი 2020 წელს აღძრა შუახევში (აჭარა, საქართველო) დაზიანებული გზების შესაკეთებლად კომპენსაციის მოთხოვნით. კომპანიისგან მოთხოვნილი თანხა 7 მილიონ ლარს შეადგენს. საქმეში ასევე მონაწილეობა მიიღო კომპანიის სამშენებლო კონტრაქტორმა „ეი ჯი ი ბათუმი“ („ეი ჯი ი“), როგორც მესამე მხარემ, ვინაიდან საქმეზე მიღებულმა სასამართლო გადაწყვეტილებამ შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს „ეი ჯი ი“-ის ვალდებულებაზე, რომელიც გულისხმობს გზების ტექნიკურ მომსახურებას „ეი ჯი ი“-სა და კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ კომპანიამ და „ეი ჯი ი“-მ შეასრულეს თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები და მიაჩნია, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია და რომ კომპანიას საკმარისი სამართლებრივი საფუძველი აქვს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი პოზიცია სასამართლო საქმის მოსმენებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ ეს სასამართლო პროცესი უნდა ეხებოდეს მხოლოდ „ეი ჯი ი“-ს და არა კომპანიას.

2021-2023 წლებში რამდენჯერმე გაიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოში საავტომობილო გზების დეპარტამენტის საქმის მოსამზადებელი მოსმენა. 2023 წლის 31 დეკემბერს საქმე გადაიდო და ახალი მოსმენის თარიღი ჯერ არ ჩანიშნულა.

კომპანიას არ უღიარებია პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებული ანარიცხები, ვინაიდან მიაჩნია, რომ საქმის წაგების რისკი არ არის მოსალოდნელი.

(ბ) საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ბ) საგადასახადო გარემო (გაგრძელება)

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციისგან განსხვავდებოდეს და, თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2022 წელს საგადასახადო ორგანოებმა კომპანიისგან მოითხოვეს 12,291 ლარის დამატებითი ქონების გადასახადის გადახდა, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ჯარიმების ჩათვლით. 2023 წელს დავა კომპანიის სასარგებლოდ გადაიჭრა. შესაბამისად, კომპანიას ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით არ უღიარებია ანარიცხები ან ხარჯი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

სესხებისა და ნასესხები სახსრების გამოკლებით (მე-12 შენიშვნა), მიიჩნევა, რომ ყველა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული სხვა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას და ისინი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში მე-2 დონეს არის მიკუთვნებული, ძირითადად, მათი ხანმოკლე ვადიანობის გამო.

რისკის მართვა

კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად შემდეგი რისკები აქვს:

- ▶ საკრედიტო რისკი
- ▶ ლიკვიდურობის რისკი;
- ▶ საბაზრო რისკი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა (გაგრძელება)

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აქვს ზოგადი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დანერგვასა და ზედამხედველობაზე, პასუხს აგებს კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაზე.

ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და მომსახურების ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

საბჭო ზედამხედველობს იმას, თუ როგორ აკონტროლებს ხელმძღვანელობა კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობას და ამოწმებს რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობას კომპანიის წინაშე მდგარი რისკებისთვის.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და, ძირითადად, წარმოიშობა კომპანიის საბანკო ნაშთებიდან.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას. აღიარებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა საანგარიშგებო თარიღისთვის ასე გამოიყურებოდა:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
ნაღდი ფული ბანკში, შეზღუდული წვდომის დეპოზიტების ჩათვლით	29,743	27,906
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,492	3,742
აღიარებული ფინანსური აქტივები	36,235	31,648

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს (BB რეიტინგი Fitch ratings-ისგან) და უცხოურ (BBB+ რეიტინგი Fitch-ისგან) წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაზრები აქვს განთავსებული.

სავაჭრო მოთხოვნები არის ესკოსგან მისაღები ფინანსური აქტივები – კონტროლირებული საქართველოს მთავრობის მიერ. საქართველოსთვის მინიჭებული ქვეყნის რეიტინგი არის BB+ (Fitch). ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აკონტროლებს სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰქონდა ვადაგადაცილებული მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა (გაგრძელება)

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანიამ ოპერაციებიდან ფულადი სახსრების მიღება 2020 წელს დაიწყო. ელექტროენერგიის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მოთხოვნები უნდა დაიფაროს 28 კალენდარულ დღეში. კომპანიის ყველაზე მსხვილი კლიენტი არის ესკო, რომელსაც ფლობს საქართველოს მთავრობა. ამრიგად, მცირე შანსია, რომ იკლებს მისი კრედიტუნარიანობა ან უნარი, რომ დაფაროს კომპანიის წინაშე არსებული ვალდებულებები. 2022-2023 წლებში კომპანია ელექტროენერგიას ექსპორტზე ყიდდა თურქეთში, გაყიდვიდან 10 დღეში გადახდის პირობით. კომპანიის მთავარი ვალდებულებებია სესხები პირველი რიგის კრედიტორებისგან და, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ჰიდროლოგიური მდგომარეობა და კომპანიის უნარი აწარმოოს ელექტროენერგია, არსებობს რისკი იმისა, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ გადაიხადოს პროცენტი წინა წლების ანალოგიურად. მოთხოვნის უპირატესი უფლების მქონე კრედიტორებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების პირობების თანახმად, რისკის შესამცირებლად კომპანია ვალდებულია შეავსოს უცხოურ ბანკში განთავსებული სესხის მომსახურების სარეზერვო ანგარიში 15 მილიონ აშშ დოლარამდე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ამ ანგარიშისთვის 24,882 ლარი გამოყო (2022 წ.: 20,002 ლარი) (მე-10 შენიშვნა).

ლიკვიდურობის რისკის მოცულობა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების საანგარიშგებო თარიღისთვის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია მთლიანად, არ არის დისკონტირებული და მოიცავს პროცენტის სავარაუდო გადახდებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებუ- ლება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და ნასესხები						
სახსრები	682,031	1,035,780	40,024	40,174	106,083	849,499
სხვა ვალდებულებები	1,086	1,086	981	105	–	–
	683,117	1,036,866	41,005	40,279	106,083	849,499

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საბალანსო ღირებუ- ლება	სახელშეკ- რულადი ფულადი ნაკადები	12 თვეზე ნაკლები	1-2 წელი	3-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები						
სესხები და ნასესხები						
სახსრები	691,441	1,071,279	38,995	39,418	77,111	915,755
სხვა ვალდებულებები	791	791	750	41	–	–
	692,232	1,072,070	39,745	39,459	77,111	915,755

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად, სავალუტო კურსების, საპროცენტო განაკვეთების და აქციების კურსების, ცვალებადობა გავლენას მოახდენს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს იღებს საბაზრო რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას მოგების ან ზარალის მერყეობის სამართავად.

სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს სავალუტო რისკი შესყიდვებზე და საბანკო ნაშთებზე, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში. ვალუტა, რომელშიც ოპერაციებია ძირითადად გამოხატული, არის ლარი.

კომპანია არ აფორმებს ხელშეკრულებებს წარმოებულ ინსტრუმენტებზე, თავისი სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით.

სავალუტო რისკის მოცულობა

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

სავალუტო რისკის მოცულობა	ლარში გამოხატული	
	2023	2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,137	2,305
სავაჭრო მოთხოვნები	6,492	3,742
სხვა აქტივები	463	418
საგადასახადო აქტივი	390	1,085
სხვა ვალდებულებები	(58)	(149)
	9,424	7,401

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის მართვა (გაგრძელება)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი სავალუტო კურსები:

საშუალო		სპოტ კურსი საანგარიშგებო თარიღისთვის	
2023 (12 თვე)	2022 (12 თვე)	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.
2.6278	2.9156	2.6894	2.7020

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლარის მიმართ ლარის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი გაუფასურება, ქვემოთ აღნიშნულის შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგებას ან ზარალს შეამცირებდა ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობით. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა დანარჩენი ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები მუდმივი რჩება. გაცვლითი კურსების საპირისპირო 10%-იანი ცვლილების დინამიკა გამოიწვევდა ტოლფარდ საპირისპირო ეფექტს მოგებაზე ან ზარალზე.

'000 ლარი	მოგება ან (ზარალი)
31 დეკემბერი, 2023 წ.	
აშშ დოლარი (10%-ით გამყარება ლარის მიმართ)	(942)
31 დეკემბერი, 2022 წ.	
აშშ დოლარი (10%-ით გამყარება ლარის მიმართ)	(740)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხი) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვალებადი განაკვეთის მქონე სესხი) შეცვლით.

კომპანიამ ჩაატარა ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების 100 საბაზისო პუნქტით ზრდის/შემცირების ანალიზი თავისი ტრანშების მიმართ, რომელთა მცოცავი საპროცენტო განაკვეთი მიბმულია უზრუნველყოფილი ერთდღიანი დაფინანსების განაკვეთზე:

წელი	ვალუტა	ზრდა/(კლება) საბაზისო ერთეულებში	საპროცენტო ხარჯის ზრდა (შემცირება)
2023	აშშ დოლარი	100	752
2022	აშშ დოლარი	100	265

შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

(ა) ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 31 დეკემბრით დასრულებული 12 თვის განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო:

	2023	2022
ხელფასები	1,467	1,738
სხვა მოკლევადიანი სარგებელი	172	185
სულ	1,639	1,923

(ბ) დაკავშირებულ მხარეთა სხვა ოპერაციები

	2023	2022
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:		
მშობელ საწარმოზე საერთო კონტროლის მქონე სამეურნეო		
სუბიექტები	1,091	1,708
უშუალო მშობელი საწარმო	352	374
სხვა დაკავშირებული მხარეები	383	126
სულ	1,826	2,208

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

2023 წელს პირველად ამოქმედდა რამდენიმე შესწორება და ინტერპრეტაცია, მაგრამ მათ გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ – წარმოადგენს სრულ სააღრიცხვო მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის;
- ▶ სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ცვლილებები ბასს 8-ში განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებს, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს და შეცდომების გასწორებას შორის. გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად;
- ▶ ერთი გარიგებიდან წარმოშობილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში – მიზნად ისახავს საწყისი აღიარებიდან გამონაკლისის არეალის დავიწროებას ისე, რომ იგი აღარ გავრცელდეს იმ გარიგებებზე, რომლებისგანაც წარმოიშობა თანაბარი დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები, როგორცაა იჯარები და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები;
- ▶ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები - ბასს 12-ის ცვლილება – რომლებიც დაინერგა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) პრაქტიკასთან დაკავშირებული პილარ ორის წესების პასუხად და მოიცავს სავალდებულო დროებით გამონაკლისს პილარ ორის სანიმუშო წესების იურისდიქციული დანერგვის შედეგად წარმოშობილი გადავადებული გადასახადების აღიარებიდან და გაცხადებიდან; და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს შესაბამისი საწარმოებისგან, რათა დაეხმაროს ფინანსური ანგარიშგებით მოსარგებლებს, რომ უკეთ გაიგონ ამ კანონმდებლობის შედეგად წარმოშობილი პილარ 2-ის მიხედვით მოგების გადასახადების შესახებ საწარმოს განმარტებითი შენიშვნები, განსაკუთრებით მის ძალაში შესვლის თარიღამდე;

ქვემოთ ცვლილებებმა გავლენა მოახდინა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე, მაგრამ არა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებასა და წარდგენაზე:

- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – ცვლილებები ბასს 1-სა და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში – ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შესული ცვლილებების შემდეგ, რომლებიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ გადახედა თავის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებს. სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გადახედილი არსებითი ინფორმაცია, რომელიც ამ შენიშვნაში ქვემოთ არის წარმოდგენილი, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ მიუსადაგა კომპანიამ ფასს-ის მოთხოვნები თავის გარემოებებს და ძირითადად მოიცავს იმ მუხლებს, სადაც კომპანიამ არჩია ფასს-ის მიერ დაშვებული ვარიანტებიდან მინიმუმ ერთი სააღრიცხვო პოლიტიკა, მუხლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განსჯაზე ან შეფასებებზე და არ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ იმეორებს ან აჯამებს ფასს-ის მოთხოვნებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკებს არაარსებითი საკითხების შესახებ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალში და ფინანსურ დანახარჯებში შედის:

- ▶ საპროცენტო შემოსავალი;
- ▶ საპროცენტო ხარჯი;
- ▶ სავალუტო შემოსულობა ან ზარალი ფინანსური აქტივებიდან და ფინანსური ვალდებულებებიდან;
- ▶ მოდიფიკაციით განპირობებული შემოსულობა.

სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე ან ფინანსურ შემოსავლად, ან ფინანსურ დანახარჯებად, იმისდა მიხედვით, სავალუტო კურსის ცვლილების დინამიკა წმინდა შემოსულობის თუ წმინდა ზარალის პოზიციას განაპირობებს.

(გ) უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

კომპანიის სამუშაო ვალუტა აშშ დოლარია. კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის ლარი. კომპანიის წარსადგენი ვალუტა განსხვავდება მისი სამუშაო ვალუტისგან, ვინაიდან ფინანსური ანგარიშგებების ლარში წარმოდგენა საქართველოში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნაა.

(დ) მოგებიდან გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (ე.წ. მოგების გადასახადის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად დაბეგვრის მომენტი დასაბეგრი მოგების მიღებიდან გადააქვს მოგების განაწილებაზე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს, მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ საგადასახადო პერიოდებზე და ეხება ყველა საწარმოს, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი გვიანი თარიღით ამოქმედდება.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადიდან გათავისუფლებას, უბრალოდ მოგების გადასახადით დაბეგვრამ გადაინაცვლა მოგების მიღების მომენტიდან მისი განაწილების მომენტზე, ანუ ძირითადი საგადასახადო ობიექტი გახდა განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განმარტავს, როგორც მფლობელებისთვის დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. თუმცა, განაწილებულ მოგებად ითვლება სხვა ტიპის ოპერაციებიც, მაგალითად დაკავშირებულ მხარეებთან საერთაშორისო გარიგება საბაზრო ფასისგან განსხვავებული ფასით და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია ასევე ითვლება განაწილებულ მოგებად მოგების გადასახადის დეკლარაციის მიზნებისთვის.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(დ) მოგებიდან გადასახადები (გაგრძელება)

გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე საგადასახადო ვალდებულებების გაქვითვა შესაძლებელია 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე გადახდილი მოგების გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილდება 2017 და მომდევნო წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადით იბეგრება გარკვეული ოპერაციები, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, თუ ისინი აღემატება დასაშვებ ზღვარს. კომპანია ასეთ ოპერაციების დაბეგვრას განიხილავს, როგორც ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების ფარგლებს მიღმა და ასეთი მუხლების გადასახადს აღრიცხავს, როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ყოველგვარი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულის მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასვლის შედეგად ნებისმიერი შემოსულობის ან ზარალის მიღება განისაზღვრება გასვლის შედეგად შემოსულობის შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და მისი აღიარება ხდება წმინდა თანხით მოგებაში ან ზარალში შემოსავლის / სხვა ხარჯების ნაწილში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში მიიღებს ამ დანახარჯთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს.

ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე და საოპერაციო ხარჯებში ასახულია, როგორც ტექნიკური მომსახურების ხარჯი.

(iii) ცვეთა

ცვეთის აღიარება, ზოგადად, მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ერთეულების სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები მიმდინარე და შედარებადი პერიოდებისთვის ასეთია:

- ▶ სამშენებლო კონსტრუქციები, კაშხლები და გვირაბი – 75 წელი;
- ▶ შენობები – 50 წელი;
- ▶ ელექტრომექანიკური მოწყობილობები – 10-35 წელი;
- ▶ გადამცემი ხაზი – 25-45 წელი;
- ▶ ავტოსატრანსპორტო საშუალებები – 10 წელი;
- ▶ საკომუნიკაციო და სხვა საოფისე აღჭურვილობა – 5-10 წელი;
- ▶ სხვა – 3-10 წელი.

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

(iv) გაუფასურება

გაუფასურებაზე ტესტის მიზნით, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ მოწმდება, ჯგუფდება უმცირეს ჯგუფებად, რომლებიც სხვა აქტივებისგან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან დამოუკიდებლად წარმოქმნის ფულად ნაკადებს უწყვეტი გამოყენების პირობებში. კომპანიამ საკუთარი თავი განსაზღვრა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთ ერთეულად გაუფასურების ტესტის მიზნებისთვის.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის ხარჯით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) არსებული აქტივების საბალანსო ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, რომ გაირკვეს, ხომ არ არის ზარალი შემცირებული ან აღმოფხვრილი. გაუფასურების ზარალი შემობრუნდება, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ პროგნოზებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება ხდება მხოლოდ იმდენად, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა და ამორტიზაციის გამოკლებით, გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო.

(ვ) ამონაგები

ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

(ზ) საკუთარი კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

(ii) დამატებით შეტანილი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ნომინალური ოდენობის ზედმეტობით მფლობელის მიერ შეტანილი ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება, როდესაც არ არსებობს მფლობელის გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შესაბამისი ზრდის შესახებ, კლასიფიცირდება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

(თ) ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე ანაზღაურებზე განთავსებულ ფულად სახსრებს. შეზღუდული წვდომის დეპოზიტები ცალკეა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ი) ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, ჩამოთვლილია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების და ცვლილებების გამოყენების შედეგად ან არ მოელის არსებით გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე, ან აგრძელებს გავლენის შეფასებას:

- ▶ ცვლილებები ფასს 16-ში: უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები – (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
- ▶ ცვლილებები ბასს 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან);

ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას.
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე

გარდა ამისა, ახალი მოთხოვნის მიხედვით, საჭიროა ინფორმაციის გამჟღავნება, როდესაც სასესხო ხელშეკრულებიდან წარმომდგარი ვალდებულება გრძელვადიანად კლასიფიცირდება და საწარმოს უფლება, გადავადოს სესხის დაფარვა დამოკიდებულია თორმეტი თვის განმავლობაში სამომავლო პირობების შესრულებაზე.

აღნიშნული ცვლილება გამოიყენება უკუქცევითი ძალით (რეტროსპექტიულად). კომპანია აფასებს ამ ცვლილებების გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ▶ ფინანსური გარიგებები მომწოდებლებთან – ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)

19. შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.